



ქ. თბილისი მ.ასათიანის 14

www.geosm.ge

ს/კ404873614 ტელ. 272 9119

e-mail ; info@geosm.ge

წარმოგიდგენთ 2019 წლის ფინანსურ ანგარიშგებას, რომელიც მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად

პატივისცემით,

კომპანია Geosm-ის დირექტორი

თეიმურაზ ახოზაძე



შპს „კომპანია GEOSM“

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება
2019 წლის 31 დეკემბრის დასრულებული
წლისთვის

შინაარსი:

ფინანსური ინფორმაცია

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

მოგება-ზარალის ანგარიშგება

საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება

ფულადი სახსრების მოძრაობა

ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

ზოგადი ინფორმაცია

ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა 1

ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა 2

შპს „კომპანია GEOSM“

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ლარი)

	2019	2018
აქტივები		
მოკლევადიანი აქტივები		
ფული და ფულის ეკვივალენტები	23978	6191
სავაჭრო მოთხოვნები	220582	230054
გადახდილი ავანსები	65670	156923
მარაგები	1301319	1147054
სხვა მინდინარე აქტივები	38491	4176
სულ მოკლევადიანი აქტივები	1650040	1544398
გრძელვადიანი აქტივები		
ძირითადი საშუალებები	859271	865792
არამატერიალური აქტივები	691	812
სულ გრძელვადიანი აქტივები	859962	866604
სულ აქტივები	2510002	2411002
ვალდებულებები		
მოკლევადიანი ვალდებულებები		
სავაჭრო ვალდებულებები	42244	66110
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	5322	2965
საგადასახადო ვალდებულებები	28956	
სასესხო ვალდებულებები	28697	
გამოუმუშავებული შემოსავალი	7983	9708
სხვა ვალდებულებები	1790	
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	114992	78783
გრძელვადიანი ვალდებულებები		
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	1784336	1852709
სულ გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	1784336	1852709
სულ ვალდებულებები	1899328	1931492
მთლიანი კაპიტალი		
სააქციო კაპიტალი	65000	65000
გაუნაწილებელი მოგება	545674	414510
სულ კაპიტალი	610674	479510
სულ კაპიტალი და ვალდებულებები	2510002	2411002

დირექტორი

შპს „კომპანია GEOSM“

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ლარი)

	2019	2018
ამონაგები	1263258	972923
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	0	
საერთო მოგება	1263258	972923
დასაქმებულთა ანაზღაურება	-316891	-279062
ცვეთა და ამორტიზაცია	-51335	-47862
საპროცენტო ხარჯი		-133725
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	-644272	-248561
სულ საოპერაციო ხარჯი	-1012498	-709210
სულ საოპერაციო მოგება	250760	263713
წმინდა დანაკარგი სავალუტო ოპერაციებიდან	0	-
სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი		-
სულ მოგება დაბეგვრამდე	250760	263713
მოგების გადასახადი	0	0
წმინდა მოგება	250760	263713

დირექტორი

შპს „კომპანია GEOSM“

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ლარი)

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ
1 იანვარი 2018	65,000	241,934	306,934
გაცემული დივიდენდები	-		
კაპიტალის სხვა ცვლილება	-	172,576	172,576
მთლიანი სრული შემოსავალი	-		
31 დეკემბერი 2018	65,000	414,510	479,510
გაცემული დივიდენდები			
კაპიტალის სხვა ცვლილება		131164	
მთლიანი სრული შემოსავალი			
31 დეკემბერი 2019	65,000	545,674	610,674

დირექტორი

შპს „კომპანია GEOSM“

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ლარი)

	2019	2018
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	17787	-77380
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან		
წმინდა ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან		
წმინდა კლება ფულსა და ფულის ეკვივალენტში		
წმინდა ზრდა ფულსა და ფულის ეკვივალენტს შორის	17787	-77380
სავალუტო კურსის ეფექტი		
ფული და ფულის ეკვივალენტი წლის დასაწყისში	6191	83571
ფული და ფულის ეკვივალენტი წლის ბოლოს	23978	6191

დირექტორი

1.ზოგადი ინფორმაცია კომპანიის შესახებ

შპს „კომპანია GEOSM“ (შემდეგში „კომპანია“) დაფუძნებულია და მდებარეობს საქართველოში. კომპანია დაარსებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და რეგისტრირებულია როგორც შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, რომლის საქმიანობა არის საბითუმო ვაჭრობა საკანცელარიო საკუთნოებით, წიგნებით, ჟურნალებით, გაზეთებით და საცალო ვაჭრობა გაზეთებით, ჟურნალებით და საკანცელარიო ნივთებით სპეციალიზებულ მაღაზიებში. შპს „კომპანია GEOSM“-ს არ გააჩნია მეკავშირე და შვილობილი საწარმოები. კომპანიის დირექტორი არის თეიმურაზ ახოზაძე. ხოლო კომპანიის წილის მფლობელი არის: თეიმურაზ ახოზაძე

2. ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა

ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკები, რომელიც გამოყენებულია ამ ფინანსური ინფორმაციის მომზადებისას, მოცემულია ქვემოთ.

2.1 ანგარიშების მომზადების და წარგნის საფუძველი

აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საერთაშორისო ბუღალტრული სტანდარტების საბჭოს მიერ შემუშავებული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად (შემდგომში „მსს ფასს“). ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია იმ დაშვების საფუძველზე, რომ საწარმო ფუნქციონირებს და თავის საქმიანობას უახლოეს საპროგნოზო მომავალშიც გააგრძელებს, არ აპირებს და არ საჭიროებს ლიკვიდაციას.

2.2 საანგარიშგებო ვალუტა

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ეროვნულ ვალუტაში-ლარში, რომელიც წარმოადგებს საანგარიშგებო ვალუტას. უცხოური ვალუტა აღიარებულია ოპერაციის განხორციელების თარიღით არსებული ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსით. საკურსო სხვაობები აღიარებულია სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯში.

2.3 ფულადი სახსრები და მისი ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მისი ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს სალაროში და საბანკო ანგარიშებზე.

2.4 სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

რეალიზაცია, ძირითადად, ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

2.5 სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების აღიარება ხდება თვითღირებულებასა და პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს შორის უმცირესი თანხით. თვითღირებულება გაიანგარიშება საშუალო შეწონილი მეთოდით.

2.6 ძირითადი საშუალებების აღრიცხვა

ძირითადი აქტივები ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშგებაში ასახულია საბალანსო ღირებულებით, თვითღირებულებას - დაგროვილი ცვეთა. ძირითადი საშუალების თვითღირებულება მოიცავს: მისი ნასყიდობის ფასს, ნებისმიერ დანახარჯს, რომელიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის დანიშნულების ადგილამდე მიტანასა და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან, რაც აუცილებელია აქტივის გამოსაყენებლად ხელმძღვანელობის მიერ დასახული მიზნებისათვის.

2.7 არამატერიალურ აქტივები

არამატერიალური აქტივები წარმოადგენს შეძენილ კომპიუტერულ პროგრამებს, ლიცენზიებს.

2.8 სავაჭრო ვალდებულებები სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული

სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

2.9 სესხო-ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური ვალდებულებები ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილია სესხის სახით, რომელიც თავდაპირველად შეფასებულია რეალური ღირებულებით. ფინანსური ვალდებულებები შემდგომ აღიარდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. კომპანია სესხის აღიარებას წყვეტს მაშინ, როდესაც ვალდებულება სრულდება.

შპს ლათა N-ის ვალდებულება კლასიფიცირდება როგორც მოკლევადიანი ვალდებულება (12 თვემდე პერიოდი) და გრძელვადიანი ვალდებულება (12 თვეზე მეტი პერიოდი). კომპანიის ბალანსზე ფიქსირდება გრძელვადიანი ვალდებულება, რომლის მიზანი არის სასტუმროს კაპიტალური რემონტის ჩატარება და ინვესტიციების განცხორციელება ნომრების დამატების სახით. აღნიშნული ვალდებულების გადაფასება ხდება საანგარიშგებო წლის ბოლო დღეს არსებული ეროვნული ბანკის კურსით, სხვაობა აღიარდება დაუყოვნებლივ მოგება/ზარალში.

2.10 საკუთარი კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალის ოდენობა კომპანიის წესდებით განისაზღვრება. კომპანიის წესდებაში ცვლილებების შეტანა მხოლოდ კომპანიის მესაკუთრეების გადაწყვეტილებით ხდება

2.11 ამონაგები

ამონაგები საქონლის/მომსახურების რეალიზაციიდან მაშინ აღიარდება, როდესაც მყიდველს საქონელი/მომსახურება მიეწოდება და საკუთრების უფლება გადაეცემა. ამონაგების აღიარება ხდება რეალური ღირებულებით დაბრუნებების, ფასდათმობებისა და რეალიზაციასთან დაკავშირებული გადასახადების გამოკლებით.

2.12 ხარჯი

არის საწარმოს ეკონომიკური სარგებლის შემცირება, საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში აქტივების საწარმოდან გასვლის ან ვალდებულებების ზრდის საფუძველზე, რაც გამოიხატება საწარმოს საკუთარი კაპიტალის შემცირებით, რომელიც დაკავშირებული არაა მესაკუთრეებზე გაცემულ განაწილებებთან. ხარჯის აღიარება ხდება გაწვევისთანავე, დარიცხვის პრინციპის შესაბამისად.

2.13 სახელფასო განაცემი

ხელფასები ექვემდებარება დარიცხვის იმავე პერიოდში რომელშიც თანამშრომლების მიერ შესაბამისი მომსახურება იქნა გაწეული.

2.14 დივიდენდის განაწილება

დივიდენდები ვალდებულებად აღირიცხება და კაპიტალიდან გამოიქვითება იმ პერიოდში რომელშიც ისინი გამოცხადდა და დამტკიცდა

2.15 ცვეთა

ძირითად საშუალებებზე ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ , როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ ,როდესაც ის არის იმ ადგილას ან ისეთ სამუშაო მდგომარეობაში მოყვანილი , რაც აუცილებელია მის გამოსაყენებლად. ძირითად საშუალებას ცვეთა ერიცხება ნაშთის შემცირებადი მეთოდის შესაბამისად.

2.16 მოგების გადასახადი

კომპანია მოგების გადასახადით იბეგრება დივიდენდის გატანის საანგარიშგებო თვეში. საქართველოს საგადასახადო კოდექსის თანახმად, 2017 წლის 1 იანვრიდან კომპანიები იბეგრებიან მოგების გადასახადით თუ მოხდება მოგების განაწილება (დივიდენდის გაცემა)

2.3 ფულადი სახსრები და მისი ეკვივალენტები

	2019 წლის 31 დეკემბერი	2018 წლის 31 დეკემბერი
მიმდინარე ანგარიშები ბანკში	23978	6191
	0	0
სულ	23978	6191

2.4 სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	2019 წლის 31 დეკემბერი	2018 წლის 31 დეკემბერი
სავაჭრო მოთხოვნები	220582	230054
სულ	220582	230054

2.5 სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

	2019 წლის 31 დეკემბერი	2018 წლის 31 დეკემბერი
სასაქონლო მატერიალური ფასეულობა	1301319	1146786
სულ	1301319	1146786

2.6 ძირითადი საშუალებები

	2019 წლის 31 დეკემბერი	2018 წლის 31 დეკემბერი
ძირითადი საშუალებები	859271	865792
სულ	859271	865792

2.7 არამატერიალურ აქტივები

	2019 წლის 31 დეკემბერი	2018 წლის 31 დეკემბერი
არამატერიალური აქტივები	691	812
სულ	691	812

2.8 სავაჭრო ვალდებულებები

	2019 წლის 31 დეკემბერი	2018 წლის 31 დეკემბერი
სავაჭრო ვალდებულებები	42244	66110
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	5322	2965
საგადასახადო ვალდებულებები	28956	0
გამომუშავებული შემოსავალი	7983	9708
მიმდინარე სასესხო ვალდებულებები	28697	0
სხვა ვალდებულებები	1790	0
სულ	114992	78783

2.9 სესხო-ფინანსური ვალდებულებები

	2019 წლის 31 დეკემბერი	2018 წლის 31 დეკემბერი
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულება	1784336	1852709
სულ	1784336	1852709

2.11 ამონაგები

	2019 წლის 31 დეკემბერი	2018 წლის 31 დეკემბერი
ნეტო ამონაგები	1263258	972923
სულ	1263258	972923

2.12 ხარჯი

	2019 წლის 31 დეკემბერი	2018 წლის 31 დეკემბერი
დასაქმებულთა ანაზღაურება	316891	279062
საპროცენტო ხარჯი		133725
ცვეთა და ამორტიზაცია	51335	47862
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	644272	248561
სულ	1012498	709210